

ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს პროგრამის შესრულების შედეგების პროგრამის ინდიკატორებთან შედარების შესახებ (2023 წელი)

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა (პროგრამული კოდი 31 12)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

საანგარიშგებო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

*ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჩატარებული ღონისძიებები:*

- )] ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს პროექტის - GEO/9/017 ფარგლებში, რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის მიმდებარე ტერიტორიაზე (სოფ. სააკაძე) განხორციელდა მსუბუქი კონსტრუქციის შენობის მშენებლობა - შემდგომში რადიოაქტიური ნარჩენების სელექციის და კასრში დამწნეხავი დანადგარების მონტაჟის მიზნით;
- )] საანგარიშო პერიოდში შემუშავდა რადიოაქტიური ნარჩენების საცავის მიმდებარე ტერიტორიაზე დამხმარე შენობა-ნაგებობის პროექტი, დიზაინი და სამშენებლო ხარჯთაღრიცხვა;
- )] განხორციელდა დაბა ანასეულთან (გურია) განთავსებული ყოფილი ჩაისა და სუბტროპიკული მცენარეების ინსტიტუტის რადიოლოგიურად დაბინძურებულ ტერიტორიაზე მიწისქვეშა რადიოაქტიური საცავის დეკომისია. რადიოაქტიური ნარჩენები შეკრებილი იქნა სპეციალურ დიდ ჩანთებში და უსაფრთხო შენახვის მიზნით გადატანილი იქნა რადიოაქტიური ნარჩენების საცავში;
- )] სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მიღებულია და რადიოაქტიური ნარჩენების საცავში უსაფრთხოდ განთავსებულია 513 რადიოაქტიური წყარო;

- )] მიმდინარეობს გამოყენებიდან ამოღებული რადიოაქტიური წყაროების გადაფუთვა. დამატებით გადაიფუთა 50 რადიოაქტიური წყარო;
- )] მომზადდა რადიოაქტიური ნარჩენების ახალი საცავის მშენებლობის პროექტის მეორე ეტაპის მართვის ძირითადი დოკუმენტი (Terms of References);
- )] განხორციელდა ივ. ჯავახიშვილი სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტროქიმიის კუთვნილი დანადგარის (K-60 000) გამოკვლევა და შედგა მისი დეკომისიის გეგმა;
- )] რადიოაქტიური ნარჩენების საცავის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენებულია სამეურნეო დანიშნულების I კლასის შენობა-ნაგებობა;
- )] განხორციელდა რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ტერიტორიაზე განთავსებული ორი რადიოლოგიურად დაბინძურებული ავტომანქანის ძარის დეკონატამინაცია;
- )] განხორციელდა დარიშხანშემცველი ნარჩენებით დაბინძურებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების შეღობვითი სამუშაოები (მისამართი: ლენტეხის მუნიციპალიტეტი, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი - ცანა 1, ცანა 3, ურავი 2).

***ბირთვული და რადიაციული საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის მიზნით განხორციელდა შემდეგი ქმედებები:***

- )] ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობაზე გაიცა 68 ლიცენზია, უარი ეთქვა - ერთ ორგანიზაციას, გაუქმდა 21 ლიცენზია;
- )] ლიცენზიის მფლობელ 165 ობიექტს მიეცა ლიცენზიის ფარგლებში საქმიანობის გაფართოების უფლება, უარი ეთქვა 1 ორგანიზაციას;
- )] ლიცენზიის ფარგლებში გაიცა 58 ნებართვა მაიონებელი გამოსხივების წყაროების იმპორტზე, ექსპორტზე და ტრანზიტსა და შექმნა-გადაცემაზე;
- )] ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზებული პირების მიერ საქმიანობის განხორციელებისას სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლისა და ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების პირობების დარღვევის გამოვლენის მიზნით 2023 წლის გეგმური ინსპექტირების პროგრამის მიხედვით განხორციელდა 114 ინსპექტირება, აქედან 108 გეგმური და 6 არაგეგმური ინსპექტირება, როგორც სამრეწველო, ასევე სამედიცინო პროფილის მქონე ობიექტებზე;
- )] ჩატარებული ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსაბამობა 20 ორგანიზაციაში, რაზეც შედგენილი იქნა 34 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი;
- )] განხორციელდა 6 რეაგირება, მათ შორის:

1. სარფის საკონტროლო გამშვებ პუნქტზე - საზღვარზე დამონტაჟებული რადიაციული პორტალური მონიტორის განგაშზე რეაგირება;
2. სოფ ტანძის მოსახლეობის მოთხოვნით სოფლის ტერიტორიაზე რადიაციული ფონის შესწავლა;
3. თბილისი, ვაშლიჯვარი, მუხრან მაჭავარიანის N63-ში მდებარე კორპუსში მცხოვრები მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე ჩატარდა სამშენებლო მასალის რადიოლოგიური მონიტორინგი;
4. ქ. ფოთში - რადიოაქტიური ნივთიერების არალეგალურ მიმოქცევის ფაქტზე;
5. ქ. ფოთის საზღვაო პორტზე-რეაგირება საზღვარზე დამონტაჟებული რადიაციული პორტალური მონიტორის განგაშზე;
6. ვალეს საკონტროლო გამშვებ პუნქტზე - რეაგირება საზღვარზე დამონტაჟებული რადიაციული პორტალური მონიტორის განგაშზე.

***საანგარიშგებო პერიოდში დაგეგმილი საბოლოო შედეგი:***

- ) მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო მოთხოვნებთან და სტანდარტებთან;
- ) რადიოაქტიური ნარჩენების გაუმჯობესებული მართვის სისტემა;
- ) ფიზიკური დაცვით უზრუნველყოფილი და რადიაციული მონიტორინგის სისტემებით აღჭურვილი რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი და საცავი;
- ) შეფასებული გარემოს რადიაციული მდგომარეობა;
- ) მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან დაცული მოსახლეობა და გარემო;
- ) დაუსაბუთებელი დასხივებისგან დაცული სამედიცინო პერსონალი და პაციენტები.

***საანგარიშგებო პერიოდში მიღწეული შედეგი:***

- ) მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო მოთხოვნებთან და სტანდარტებთან;
- ) რადიოაქტიური ნარჩენების გაუმჯობესებული მართვის სისტემა;
- ) ფიზიკური დაცვით უზრუნველყოფილი და რადიაციული მონიტორინგის სისტემებით აღჭურვილი რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი და საცავი;
- ) შეფასებული გარემოს რადიაციული მდგომარეობა;
- ) მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან დაცული მოსახლეობა და გარემო;
- ) დაუსაბუთებელი დასხივებისგან დაცული სამედიცინო პერსონალი და პაციენტები (განხორციელებული 114 ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციის ინსპექტირება).

| N | დაგეგმილი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორი   |   | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი   |   | განმარტება |
|---|--|---|---|---|------------|
|   | საბაზისო მაჩვენებელი   | დაგეგმილი მაჩვენებელი   | მიღწეული მაჩვენებელი  | ცდომილების მაჩვენებელი (% ან/და აღწერა) |            |
| 1 | საქართველოს რეგიონებში (გურია - III ეტაპი, სამეგრელო) განხორციელდება რადიაციის ფონური მაჩვენებლებისა და გარემოში (ნიადაგში, ჰაერში, წყალში) არსებული რადიონუკლიდების მონიტორინგი | საქართველოს რეგიონებში (იმერეთი, სამცხე ჯავახეთი, შიდა ქართლი, მცხეთა- მთიანეთი, ქვემო ქართლი, კახეთი, გრიგოლეთი, სამეგრელო, ტყიბული, ჭიათურა) განხორციელდება რადიაციის ფონური მაჩვენებლებისა და გარემოში (ნიადაგში, ჰაერში, წყალში) არსებული რადიონუკლიდების მონიტორინგი | საქართველოს რეგიონებში (იმერეთი, სამცხე ჯავახეთი, შიდა ქართლი, მცხეთა- მთიანეთი, ქვემო ქართლი, კახეთი, გრიგოლეთი, სამეგრელო, ტყიბული, ჭიათურა) განხორციელდება რადიაციის ფონური მაჩვენებლებისა და გარემოში (ნიადაგში, ჰაერში, წყალში) არსებული |   |            |

|   |  |   |  |  |  |
|---|--|---|--|--|--|
|   |  |   | რადიონუკლიდების მონიტორინგი  |  |  |
| 2 | <p>დღეის მდგომარეობით არსებობს დაცული მცხეთის რადიოაქტიური ნარჩენების საცავი და სააკადმის რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი, რომელიც მიმდინარე პერიოდისთვის უზრუნველყოფილია შესაბამისი რადიაციული მონიტორინგის სისტემებით და აღჭურვილობით</p>  | <p>ფიზიკური დაცვით უზრუნველყოფილი და რადიაციული მონიტორინგის სისტემებით უზრუნველყოფილი რადიოაქტიური ნარჩენების განთავსების 2 ლოკაცია</p>  | <p>ფიზიკური დაცვით უზრუნველყოფილი და რადიაციული მონიტორინგის სისტემებით აღჭურვილი რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი და საცავი (2 ლოკაცია)</p>  |  |  |
| 3 | <p>შემუშავებული კანონმდებლობით დადგინდა რადიაციული უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტები და მოთხოვნები, აღნიშნული მოთხოვნების შესრულების მიზნით დონორი ორგანიზაციების დახმარებით სააგენტო აღჭურვილია რადიაციულ ინციდენტზე რეაგირებისა და ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციების კონტროლის განსახორციელებლად აუცილებელი ხელსაწყოებით, რაც საშუალებას იძლევა განხორციელდეს რადიოლოგიური აპარატურის (მაგ. კლინიკებში განთავსებული) ხარისხის კონტროლი იმისათვის რათა არ მოხდეს მოსახლეობის, სამედიცინო პერსონალისა და პაციენტების დაუსაბუთებელი დასახივება. აღნიშნული კონტროლის უზრუნველსაყოფად განხორციელდა სააგენტოს თანამშრომლების გადამზადება;</p> | <p>გაუმჯობესებული ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო კონტროლი, შეფასებულია გარემოს რადიაციული მდგომარეობა, გაუმჯობესებულია რადიოაქტიური ნარჩენების ეფექტური მართვა, დამტკიცებულია და ძალაშია შესული ამ სფეროში რიგი საკანონმდებლო აქტები.</p> | <p>მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან დაცული პაციენტების, სამედიცინო პერსონალის და მოსახლეობის გაზრდილი რაოდენობა (2023 წლის 12 თვეში განხორციელებულია ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციის 114 გეგმური ინსპექტირება, შესაბამისობაშია 99%) შემუშავებული ახალი კანონპროექტები, სტრატეგიული დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები.</p> |  |  |